სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო

იურიდიული მისამართი: ბათუმი, მემედ აბაშიძის #41, ს/კ 245675880

ბათუმი **ბრძანება #02/03-25** 20 ნოემბერი 2015

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში ორგანიზაციული ცვლილებების (სტრუქტურული რეორგანიზაციის) შესახებ

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოსათვის კანონით დაწესებული ვალდებულების უკეთესად განხორციელების მიზნით, აუცილებელია სტრუქტურული ერთეულების გამართული ფუნქციონირებისა და დასაქმებული ადამიანების შრომის ეფექტიანობის გაზრდა, ამდენად 2016 წლის 1 თებერვლამდე უნდა განხორციელდეს სტრუქტურული რეორგანიზაცია, გაუქმდეს არსებული საშტატო განრიგი და ამოქმედდეს ახალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვხელმძღვანელობ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი"-ს 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტით და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დებულების 5.3.2. ქვეპუნქტით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად გამოწვეული ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ, წინასწარ წერილობით გაფრთხილდნენ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საშტატო პოზიციებზე დასაქმებული ადამიანები (იხ. დანართი N1);
2. დამტკიცდეს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ორგანიზაციული ცვლილებების (სტრუქტურული რეორგანიზაციის) გეგმა (იხ. დანართი N2);
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ორგანიზაციული ცვლილებების (სტრუქტურული რეორგანიზაციის) განსახორციელებლად დირექტორი ქმნის საკონსულტაციო კომისიას (ე.წ. დანერგვის ჯგუფს). ამ პუნქტით გათვალისწინებული საკონსულტაციო კომისია შემადგენლობა და მუშაობის წესი განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით.
4. ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებამ (თ. შანიძე-ნინიძე) 30 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტის N1 დანართში მითებული პერსონალის წინასწარი წერილობითი გაფრთხილება;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ბათუმი, ზუბალშვილის ქუჩა N30) მისი მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი **სოსო სტურუა**

245675880

დანართი N1

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საშტატო პოზიციებზე დასაქმებულ თანამშრომელთა წინასწარი წერილობითი გაფრთხილების შესახებ

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში 2016 წლის 1 თებერვლამდე უნდა განხორციელდეს სტრუქტურული რეორგანიზაცია, კერძოდ გაუქმდება არსებული საშტატო განრიგი და ამოქმედდება ახალი. რეორგანიზაცია აუცილებელს ხდის საშტატო პოზიციებზე დასაქმებულ თანამშრომელებთან შრომის სამართლებრივი-ურთიერთობის შეწყვეტას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის 2015 წლის 20 ნოემბრის N02-03/25 ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოსალოდნელ შედეგებზე გაფრთხილებული იქნენ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საშტატო ერთეულებზე დასაქმებული ადამიანები (დანართი 1-1, თანახმად საშტატო განრიგისა).

დანართი N2

დამტკიცებულია 2015 წლის 20 ნოემბრის N02-03/25 ბრძანებით

რეორგანიზაციის გეგმა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს რეორგანიზაციის გეგმა (შემდგომში-გეგმა) შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. გეგმა ადგენს სარეორგანიზაციო სტრუქტურას, რეორგანიზაციის ვადას, გასატარებელ ღონისძიებათა ჩამონათვალს და მის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირს/პირებს.

მუხლი 2. სარეორგანიზაციო სტრუქტურა

რეორგანიზაცია შეეხება შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს და თანამდებობებს: (1) ტელევიზიის გენერალურ პროდიუსერს, (2) ტელევიზიის მთავარი რეჟისორის სამსახურს, (3) პროგრამირების სამსახურს, (4) საინფორმაციო სამსახურს, (5) ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს, (6) რადიოს სამსახურს, (7) საფინანსო სამსახურს, (8) სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს და (9) მონიტორს.

რეორგანიზაციის შედეგად ყალიბდება (შეიქმნება) შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: (1) სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახური, (2) რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობის განვითარების სამსახური, (3) ახალი ამბების სამსახური, (4) საავტორო შემოქმედებითი გადაცემების სამსახური, (5) მიმდინარე მაუწყებლობის სამსახური და (6) მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური. რეორგანიზაციის შემდეგ ჩამოყალიბდება ასევე (7) ფინანსური ეფექტიანობის სამსახური, (8) იურიდიული მხარდაჭერის სამსახური, შეიქმნება (9) მონიტორონგის/ხარისხის კონტროლის სამსახური, (10) საკადრო ბაზის განვითარების სამსახური და (11) საარქივო სამსახური.

რეორგანიზაციის შედეგად ფუნქციონირებას დაიწყებს შემდეგი კოლეგიური ორგანოები: (1) მმართველი საბჭო, (2) სარედაქციო საბჭო, (3) ტექნიკური განვითარების საბჭო, (4) აუდიტორიის განვითარების საბჭო და (5) ხარისხის განვითარების საბჭო. აღნიშნული კოლეგიური ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ექნებათ სარეკომენდაციო ხასიათი.

მუხლი 3. სარეორგანიზაციო ღონისძიებები და ჩატარების ვადა

1.. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში რეორგანიზაცია უნდა დასრულდეს 2016 წლის 01 თებერვლამდე.
2. რეორგანიზაციის პროცესში ტარდება შემდეგი ღონისძიებები (სამოქმედო გეგმა):

ა) ახალი სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბება და ფუნქციების განსაზღვრა, რომელიც უნდა დასრულდეს 2016 წლის 01 თებერვლამდე;

ბ) დებულებაში შესატანი ცვლილებების პროექტის მომზადება და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოსათვის წარდგენა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2015 წლის 20 დეკემბრამდე;

ბ[1]) დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის დამტკიცებიდან (ძალაში შესვლიდან) ათი სამუშაო დღის ვადაში (არაუგვიანეს 2016 წლის 04 იანვრისა) სტრუქტურული ერთეულების დებულების პროექტების წარდგენა დირექტორისთვის;

ბ[2]) დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის დამტკიცებიდან (ძალაში შესვლიდან) 15 სამუშაო დღის ვადაში (არაუგვიანეს 2016 წლის 12 იანვრისა) საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობებზე - თანამდებობრივი ინსტრუქციების (უფლება-მოვალეობების) პროექტის წარდგენა დირექტორისთვის;

გ) თანამშრომელთა გაფრთხილება, მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ - 2016 წლის 01 იანვრამდე; გათავისუფლება, კომპენსაციის გაცემა, დანიშვნა, გადაყვანა და საჭიროების შემთხვევაში საკონკურსო პოზიციების განსაზღვრა - 2016 წლის 01 თებერვლამდე;

დ) სტრუქტურის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება იმ დასაქმებულებისათვის, რომელთაც სავარაუდოდ შეეცვალებათ როლი ან დაემატებათ ფუნქცია, უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2016 წლის 12 იანვრისა;

ე) სტრუქტურის გენერალური პრეზენტაცია უნდა განხორციელდეს 2016 წლის 15 იანვრამდე;

ვ) კოლეგიური ორგანოების/საბჭოების სამუშაო კალენდარის შედგენა და მდივნის განსაზღვრა, უნდა განხორციელდეს 2016 წლის 25 იანვრამდე.

მუხლი 4. გეგმის

შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები

1. გეგმის შესრულებას კოორდინაციას უწევს - გია ქარცივაძე
2. ამ გეგმის ,,ბ" პუნქტით გათვალისწინებული დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის შეტანა - მალხაზ ბოლქვაძე
3. ამ გეგმის „ბ[1]" და „ბ[2]" პუნქტებით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულების დებულებისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების პროექტის წარდგენა - გია ქარცივაძე;
4. ამ გეგმის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება - თეა შანიძე-ნინიძე.

<u>სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო</u>

იურიდიული მისამართი: ბათუმი, მემედ აბაშიძის #41, ს/კ 245675880

ბათუმი **ბრძანება #**02-03/26 24 ნოემბერი 2015

"სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში ორგანიზაციული ცვლილებების (სტრუქტურული რეორგანიზაციის) შესახებ" საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის 2015 წლის 20 ნოემბრის #02/03-25 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 35^{10} მუხლის მე-7 პუნქტისა და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დებულების 5.3.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილი იქნეს ცვლილებები "სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში ორგანიზაციული ცვლილებების (სტრუქტურული რეორგანიზაციის) შესახებ" საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის 2015 წლის 20 ნოემბრის #02/03-25 ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ორგანიზაციული ცვლილებების (სტრუქტურული რეორგანიზაციის) გეგმაში (დანართი #2), კერძოდ, შეიცვალოს მე-2 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2.** სარეორგანიზაციო სტრუქტურა

რეორგანიზაცია შეეხება შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს და თანამდებობებს: (1) ტელევიზიის გენერალურ პროდიუსერს, (2) ტელევიზიის მთავარი რეჟისორის სამსახურს, (3) პროგრამების სამსახურს, (4) საინფორმაციო სამსახურს, (5) ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს, (6) რადიოს სამსახურს, (7) საფინანსო სამსახურს, (8) სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს, **(9) შიდა აუდიტორსა** და (10) მონიტორს.

რეორგანიზაციის შედეგად ყალიბდება (შეიქმნება) შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: (1) სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახური, (2) რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობის განვითარების სამსახური, (3) ახალი ამბების სამსახური, (4) საავტორო შემოქმედებითი გადაცემების სამსახური, (5) მიმდინარე მაუწყებლობის სამსახური და (6) მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური. რეორგანიზაციის შემდეგ ჩამოყალიბდება ასევე (7) ფინანსური ეფექტიანობის სამსახური, (8) იურიდიული მხარდაჭერის სამსახური, შეიქმნება **(9) შიდა აუდიტის სამსახური,** (10) მონიტორონგის/ხარისხის კონტროლის სამსახური, (11) საკადრო ბაზის განვითარების სამსახური და (12) საარქივო სამსახური.

რეორგანიზაციის შედეგად ფუნქციონირებას დაიწყებს შემდეგი კოლეგიური ორგანოები: (1) მმართველი საბჭო, (2) სარედაქციო საბჭო, (3) ტექნიკური განვითარების საბჭო, (4) აუდიტორიის განვითარების საბჭო და (5) ხარისხის განვითარების საბჭო. აღნიშნული კოლეგიური ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ექნებათ სარეკომენდაციო ხასიათი."

2. ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებამ (თ. შანიძე-ნინიძე) 30 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს **შიდა აუდიტორის** წინასწარი წერილობითი გაფრთხილება;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ბათუმი, ზუბალშვილის ქუჩა N30) მისი მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი **სოსო სტურუა**